

ნიდერლანდები

- ნიდერლანდების მიმართულებით გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების მისამართის განსაზღვრა ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის წარმომადგენელსა (კურიერს) და ადრესატს შორის სატელეფონო საუბრის შედეგად შეთანხმებულ ადგილზე, შემდგომი პროცედურის დაცვით:
 - სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისამდე ტრანსპორტირების შემდგომ, აგენტი ოფისის წარმომადგენელი(კურიერი) აუცილებელი წესით ახდენს სატელეფონო კომუნიკაციას ადრესატთან, რომელთანაც აზუსტებს გზავნილის ჩაბარების ადგილსა და დროს და მხოლოდ ამის შემდგომ ახორციელებს ვიზიტს. კურიერის მიერ შეთანხმებულ მისამართზე ვიზიტი ხორციელდება ერთჯერადად. მხოლოდ შაბათ ან კვირა დღეს, თუ ადრესატი გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჩაიბარებს გზავნილს, მან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა განახორციელოს ვიზიტი ნიურნბერგის (გერმანია) აგენტის ოფისში და ჩაიბაროს გზავნილი.
- ნიდერლანდების ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ეინდჰოვენი, მასტრიხტი, ჰააგა, როტერდამი, ბრედა, ტილბურგი, ამსტერდამი, უტრეხტი, ნეიმეგენი	12-14 კალენდარული დღე

- ნიდერლანდებში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისების და გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

N.	ქალაქი	გაცემის პუნქტი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები	ქალაქები სადაც ბარდება გზავნილები

1.	ნიუნბერგი	Äußere Bayreuther Str.48 90491 Nürnberg	+491639600954; +393292080402	ოთხშაბათი-12:00სთ-დან-16:00სთ- მდე, პარასკევი -12:00სთ-დან-16:00სთ- მდე	ეინდჰოვენი მასტრიხტი ჰააგა როტერდამი ბრედა ტილბურგი ამსტერდამი უტრეხტი ნეიმეგენი
----	-----------	---	---------------------------------	--	--

გასათვალისწინებელია: სახმელეთო ამანათი იგზავნება მხოლოდ ცხრილში მითითებულ ქალაქებში, გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება არ ხორციელდება აღნიშნული ქალაქების მეზობელ, მოსაზღვრე ან/და ახლოს მდებარე სხვა რომელიმე ქალაქში.

- ნიდერლანდების მიმართულებით სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება, გამოითვლება ფაქტიური წონისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1 კგ-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 5 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი/ადრესატი იხდის ფიქსირებულ - 5 კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.
- ნიდერლანდების მიმართულებით მედიკამენტების გაგზავნა არ ხორციელდება.